



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 32

2011 წლის 25 მარტი
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N152 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №152 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელ პროგრამაში“
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში ფუნქციონირებს სამი არასამეწარმეო იურიდიული პირი „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხაშურის სამუსიკო სკოლა“, „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება სურამის სამუსიკო სკოლა“ და „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა“.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანიზაციის კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 18; საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსებას, თითოეულ ბავშვზე პირველ კვარტალში (იანვარი, თებერვალი, მარტი) 19 (ცხრამეტი) ლარის ოდენობით, ხოლო აპრილიდან-დეკემბრის ჩათვლით 16 (თექვსმეტი) ლარის ოდენობით სასწავლო და არასასწავლო პერიოდშიც (პედაგოგთა და სხვა პერსონალის სტაბილური და სისტემატური ანაზღაურების უზრუნველსაყოფად)

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მოტივაციაში მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა: 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 103716 ლარი, რაც გათვლილია 516 მოსწავლეზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს პროგრამის შედგენის მომენტისათვის სკოლებში რეგისტრირებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

№	დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა	ერთი მოსწავლის დაფინანსების სიდიდე	სუბსიდიის ოდენობა წლიურად	
№1	არასამეწარმეო იურიდიული პირი ხაშურის სამუსიკო სკოლა	286	19	16302	57486
			16	41184	
№2	არასამეწარმეო იურიდიული პირი სურამის სამუსიკო სკოლა	155	19	8835	31155
			16	22320	
№3	არასამეწარმეო იურიდიული პირი ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა	75	19	4275	15075
			16	10800	
				სულ 103716	